

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისმართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 1998 წელი, მუხ. №32) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) მიწის ნაკვეთები, რომლებიც განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში.“

ბ) მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასარგებლო წიაღისეულის და დაცული ტერიტორიის, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მიწის მინაკუთვნის, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების საზღვრებში, აგრეთვე საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების საზღვრებში, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ ზონებში სახელმწიფო მიწა იჯარით გაიცემა მხოლოდ შესაბამისად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, გეოლოგიის სახელმწიფო დაპარტამენტის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დაპარტამენტის თანხმობით და შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვის დროისათვის არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე შეუძლიათ დააწესონ ამ ორგანიზაციებმა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი